საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის
ოქმი № 10

ქ. თერჯოლა

16 აგვისტო 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბიძინა ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. ჯემალ ისაკაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7. იზა მაგრაქველიძე, 8. რუსუდან კოვზირიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. დავით ცხადაძე

კომისიის სიითი შემადგენლობა: 10 წევრი
კვორუმი: 6 წევრი
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 8

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს,, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად და რეაგირებისათვის დაეწერა საკრებულოს წევრის ეკა ბერძენიშვილის განცხადება (№19/29232271-29, 15.08.2023 წ.), სადაც ის გამოთქვამს სურვილს გაწევრიანდეს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში.

მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა განკარგულების პროექტი ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილ უნდა იქნას ამირან ვერულაშვილი მისი ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის გამო.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტით კომისიის პერსონალური შემადგენლობა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

2. **მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად და რეაგირებისათვის დაეწერა საკრებულოს წევრის ეკა ბერძენიშვილის განცხადება (№19/29232271-29, 15.08.2023 წ.), სადაც ის გამოთქვამს სურვილს გაწევრიანდეს საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობაში.

მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა განკარგულების პროექტი ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილია ამირან ვერულაშვილი, მისი ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის გამო.

წარდგენილი განკარგულების პროექტით კომისიის პერსონალური შემადგენლობა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: წარედგინოს საკრებულოს ბიუროს დასამტკიცებლად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 დეკემბრის №გ-29.29213419 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
ბიძინა ბუცხრიკიძე